საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN8

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

10 ოქტომბერი 2025 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ომარი ჯიხვაშვილი, 3. კობა კაცაძე, 4. ჯემალი ისაკაძე, 5. ნინო ჩხიკვაძე 6. გიორგი ბარათაშვილი ; 7. ეკა ბერძენიშვილი;

სხდომას არ ესწრებოდა: რუსუდან კოვზირიძე; ნატალია ასათიანი, დავით ცხადაძე; იზა მაგრაქველიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ფიქრია ბუსკივაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 7 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების" დამტკიცების შესახებ;(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282522816 წერილი, 08.10.2025 წ.)

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების" დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო კომისიის წევრებს ხელშეკრულების პირობები: საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით, საქართველოს ორგანული კანონის

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ს მე-17 მუხლის , „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 აპრილის №134 დადგენილების მე-2 მუხლის მე2 პუნქტის „ი1“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულების, შესაბამისად საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის შორის ხელმოწერილი იქნა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტს გადმოეცა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს შემდეგი უფლებამოსილებები:

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია;

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა პოსტავტორიზაციის პროცესში, ავტორიზაციის სტანდარტებთან (ინფრასტრუქტურის ნაწილში) შესაბამისობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა;

გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის;

დ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობაში ან/და ეზოში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინვენტარით აღჭურვა.

ე) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა/ აღჭურვა;

ვ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირება/საწვავის/ბრიკეტების/შეშის შესყიდვა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ს მე-17 მუხლის მე -3 პუნქტის თანახმად ხელშეკრულებას ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავამტკიცოთ საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულება.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ განკარგულების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს განკარგულების პროექტი,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების“ შესახებ;

მუხლი 2. საკრებულოს განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: